ჯოვანა კარუნიო იტალიელი კლავესინისტი და მუსიკოლოგი.

დაამთავრა საფორტეპიანო მიმართულება, კლავესინის კლასი ლია დე ბარბერიისთან და ბარბარა ვინიანელისთან. იგი იტალიის კონსერვატორიის - **„Licinio Refice“** - მაგისტრია შუასაუკუნეების მუსიკისა და კამერული მუსიკის მიმართულებით.

 გავლილი აქვს სამუსიკო თერაპიის, სამუსიკო განათლების, ანტიკური მუსიკის სპეციალიზებული კურსები რომის, პადუასა და ტრენტოს უნივერსიტეტებში.

დოქტორის ხარსიხი დაცული აქვს ბოლონიის უნივერსიტეტში თემაზე: „კვლევის მეთოდოლოგია სამუსიკო განათლებაში“. პარალელურად ლექციებს კითხულობდა: რომა ტრე უნივერსიტეტში - ხელოვნების თერაპიაზე;

„ლაციო რეგიონში“ საგანამანათლებლო მეცნიერების დეპარტენტი - მუსიკის პედაგოგიკა და სხვ. ჯოვანა კარუნიო მონაწილეობს საერთაშორისო კონფერენციებში და როგორც მუსიკოლოგი აგრძელებს კვლევას შუასაუკუნეების მუსიკისა და სამუსიკო პედაგოგიკის მიმართულებით.

ამჟამად არის პარმის უნივერსიტეტის პროფესორი საშემსრულებლო ხელოვნების სწავლების მიმართულებით.